1993 წლის 27 სექტემბერს საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აფხაზეთის რეგიონზე კონტროლი დაკარგა. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად, ორივე მხრიდან დაიღუპა 15 ათასზე მეტი ადამიანი და ასეულობით უგზოუკვლოდ დაიკარგა. საკუთარი სახლებიდან გააძევეს და ეთნიკური წმენდა განახორციელეს 400 ათასზე მეტ, ძირითადად ეთნიკური ქართველი მოსახლეობის მიმართ, ასევე განიდევნა 50-60 ათასი სხვა ეთნოსის წარმომადგენელი - ბერძნები, ებრაელები, ესტონელები, ბელორუსები, რუსები, სომხები, უკრაინელები და სხვა. დაახლოებით 250 ათასი დევნილი დღემდე რჩება საქართველოში, დანარჩენი კი ლტოლვილობაში ცხოვრობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

მძიმე დანაკარგები განიცადა აფხაზმა ხალხმაც, მათ 3.000-ზე მეტი თანამემამულე დაკარგეს. ომის პერიოდში დაიღუპა ასევე რამდენიმე ასეული რუსი და ჩრდილოკავკასიელი დაქირავებული ბოევიკიც.

საომარი მოქმედებების გამო აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ განიცადა უზარმაზარი ნგრევა და ეკონომიკის კოლაფსი. მთლიანად განადგურდა რკინიგზა. განადგურდა 450 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა, 32 ხიდი, 500 კილომეტრი სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ინფორმაციით კონფლიქტის შედეგად ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განადგურდა 49.000-მდე შენობა, აქედან 43.000 კერძო საცხოვრებელი სახლი. 30 ერთეული კულტურისა და 25 ერთეული ადმინსიტრაციული ობიექტი. ქალაქ სოხუმში განადგურდა 10.000-მდე შენობა, გაგრის მუნიციპალიტეტში 9.000 შენობა, სოხუმის მუნიციპალიტეტში 2.500 შენობა, გუდაუთის მუნიციპალიტეტში 400 შენობა, გულრიფშის მუნიციპალიტეტში 4.000 შენობა, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში 8.000 შენობა, გალის მუნიციპალიტეტში 15.000 შენობა.

დღესაც აფხაზეთის რეგიონი, რომელიც საქართველოსგან დე ფაქტო დამოუკიდებლობით სარგებლობს, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგას. მიუხედავად თვითგამოცხადებული დამოუკიდებლობისა, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად დამოკიდებულია რუსეთის ფედერაციაზე. ყოველივე ზემოთქმულმა, აფხაზეთში დემოგრაფიული სურათიც სრულიად შეცვალა. დღეის მდგომარეობით, აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 170-180 ათასს შეადგენს.

აფხაზეთის მიღმა, დანარჩენი საქართველოსთვისაც არანაკლებ მძიმე აღმოჩნდა ომის შედეგები. პოსტსაბჭოურმა საქართველომ მიიღო უდიდესი მსხვერპლი, უმძიმესი ფინანსური და ფსიქოლოგიური ზიანი. ენგურს გამოღმა გამოდევნილი 300 ათასზე მეტი ადამიანი უმძიმეს პირობებში აღმოჩნდა და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად შეაფერხა სახელმწიფოს განვითარება და საფრთხე შეუქმნა მას. აფხაზეთის ტერიტორია კი მთლიანად გააპარტახა.

ასევე უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (კერძოდ გალის რაიონში) ადგილობრივი ქართველების გაუსაძლისი პოლიტიკური, სოციალური თუ

სამართლებრივი მდგომარეობა. გარდა იმ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ჩაგვრისა რასაც ისინი განიცდიან სეპარატისტული და ოკუპანტი მხარეებისაგან, საფრთხე ექმნება მათ ეროვნულ თვიდმყოფადობასაც. აფხაზეთის 1994 წლის „კონსტიტუციის“ თანახმად, აფხაზეთის სახელმწიფო ენად გამოცხადდა აფხაზური, ხოლო რუსული ენა აფხაზურის თანაბრად იქნა აღიარებული სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენად. ქართული ენა კი ფაქტობრივად აიკრძალა. დაიხურა ქართული სკოლები, ხოლო მათ ვინც ახერხებს დეფაქტო საზღვარს აქეთ ქართული განათლების მიღებას, ხშირად პრობლემები ექმნებათ, რადგან შეზღუდულია თავისუფალი გადაადგილების უფლებაც.. გარდა ამისა მუდმივად ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, რაც გამოიხატება ადამიანების არასათანადოდ მოპყრობაში, ეთნიკურ დისკრიმინაციაში და უკანონო დაკავებაში.. მასიურად დარღვეულია საკუთრების უფლებაც და მიმდინარეობს ე.წ. „პასპორტიზაციის“ პროცესი, რომლის სამიზნეს მეტწილად ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს. აღნიშნული რეგულაციები კიდევ უფრო დაამძიმებს მათ ისედაც რთულ მდგომარეობას: შეიქმნება ახალი შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლებაზე, კერძო საკუთრებით სარგებლობასა და მუშაობის უფლებაზე. არსებობს საფრთხე, რომ ამ ე.წ. კანონის გამოყენება მოხდეს ეთნიკური წმენდის ახალი ტალღის განსახორციელებლად. საგულისხმოა, რომ პარალელურად აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა მიიღო ე.წ. კანონი აფხაზეთში შესვლისა და გასვლის წესის შესახებ, რომლის ამოქმედებაც დამატებით ბარიერებს შეუქმნის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რაც კიდევ უფრო იზოლირებულს გახდის რეგიონს.

გარდა იმ ზიანისა რომელსაც ადგილობრივი სამთავრობო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ასახავენ თავიანთ ანგარიშებში თუ სხვადასხვა სახის სტატისტიკაში, ომისა და ოკუპაციის დამანგრეველი შედეგების განსაზღვრა წარმოუდგენელია, როგორც ქართული ისე აფხაზური მხრიდან 100 ათასობით ადამიანის პირადი ტრაგედიების გარეშე, რომელიც სამწუხაროდ დღემდე გრძელდება.

საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგია კონფლიქტების მოგვერების კუთხით ერთმნიშვნელოვნად მიმართულია პრობლემის კადაჭრის მხოლოდ მშვიდობიანი გზისკენ. ამისთვის, ქვეყნის ხელისუფლება იყენებს როგორც შიდა რესურსებს - სხვადასხვა პროგრამების თუ სახალხო დიპლომატიის დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, ასევე საერთაშორისო რესურსებსაც, როგორც საერთაშორისო ფორმატის სამშვიდობო მისიებთან თანამშრომლობის, ისე საერთაშორისო დიპლომატიის, პოლიტიკის, ეკონომიკის და ა.შ. ფორმატებში ჩართულობის კუთხითაც.